№ 219 17 ქრისტეშობისთვე, შაბათი 1866—1877 17 ქრისტეშობისთვე, შაბათი № 219

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43.

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე-მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

შემდეგ ორმოცი დღის გარდაცვალებისა კამანდირის პიატიგორსკის პეხოტნის პოლკისა, პოლკოვნიკის **მიხაილ ბეჟანის ძის გუჯიევისა**, მოკლულის ხუთიდამ მეექვსე რიცხვსა წარსულ ნოემბრისასა, იერიშით მისვლით ყარსის ციხის აღებაზედ,—ქვრივი მისი ეკატერინე ბორისიევნა და ძმანი გარდაცვალებულისანი სთხოვენ ნათესავთა, მცნობთა და თანა-მოსამსახურეთა, რათა პატივი სცენ და მობრძანდნენ წირვაზედ და პანაშვიდზედ შ ა ბ ა თ ს, ჩვიდმეტს დეკემბერს ამა წელსა, ათს საათზედ დილით, ანჩისხატის სობოროში. (2—2)

### მომავალ 1878 წელს გაზეთი

## „დროება"

**გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მომავალ წელსაც „დ რ ო ე ბ ა" მუდამ დღე გამოვა,**

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

### ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების" რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ზანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Д р о э б а".*

### ფასი გაზეთისა

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ | კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 | „ |
| ოთხის თვისა . . . . . . . . . . . . . | 3 „ | „ | „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

# ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ყარსი,** 15 დეკემბერს. („კავკაზის" დეპეშა). ღენ.-ადიუტანტმა ლორის-მელიქოვმა დაათვალიერა სოღანლულის ატრიადი და ჰასსან-ყალეს გზები და შემდეგ ისევ ყარსში დაბრუნდა. ყარსსა და ჰასსან-ყალეში ფოჩტა და ტელეგრაფი იმართება. ორი ბატალიონი საპიორებისა და ქვეითა ჯარი იცვენ სოღანლულის გზასა და თან აკეთებენ.

**გოგოტი,** 13 დეკემბერს. (ოფიციალური). ნამდვილის ანგარიშით აღმოჩნდა, რომ პლევნოში დატყვევებული ოსმალოს არმია ყოფილა რიცხვით სულ 44,000 კაცი, ამ ქალაქის აღების დროს დაჭრილებს გარდა. ყველა ეს ჯარები გაიგზავნა აქედამ.

ყინვა და თოვლი არ კლებულობს.

**ლონდონი,** 14 დეკემბერს. სულეიმან და მეჰემედ-ფაშამ დაარწმუნეს ხონთქარი, რომ მტერთან მორიგებას ნუ დაეშურება და უკანასკნელი ღონის-ძიება სანამ გვექნება, ვებრძოლოთ რუსეთსაო.

# ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

არზრუმელი კორრესპონდენტი ფრანცუზულის გაზეთის „Le Temps"-ისა შემდეგ ამბავს იწერება ამ გაზეთში, 23 ნოემბერს:

„გუშინ საღამოს მუხთარ-ფაშამ მოიხმო სამხედრო რჩევაზე წარჩინებული პირნი არზრუმისა და წაუკითხა ხონთქრის ფირმანი, რომელშიაც ეწერა, რომ იმედი მაქვსო, რომ არზრუმის მცხოვრებნი მხნეთ იქნებიანო და ქვეყნის დაცვაში ჯეროვან მონაწილეობას მიიღებენო.

„ამ ფირმანის პასუხათ არზრუმელებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს სულთანს: „ჩვენ დავიცვავთ ქალაქს. თუ სალდათებმა უკან დაიწიეს, მაშინ ამათ დაუშენთ თოფებს."

„არზრუმს გარდა, მუხთარ-ფაშა ტრაპიზონშიაც აგროვებს და ამზადებს ჯარებს. თოფ-თალშიაც ჯარები უყენიათ ოსმალოებს და ამბობენ, რომ თუ არზრუმში ცუდათ წაიდა საქმეები, მუხთარ-ფაშა მიატოვებს ამ ქალაქსა და თოფ-თალში წავა თავის ჯარითაო; იქ სიმაგრეებს ამზადებენ ახლა.

„ამ დღეებში რუსებს მოუყვიდათ 3,000 კაცი ყარსიდამ, რომელიც დევე-ბოინიდამ ჩამოიყვანეს და გიურჯი-ბოღოსში დააბანაკეს; როგორც დევე-ბოინთან ახალი ჯარები მიუვათ რუსებს, ამბობენ, იმ წამსვე არზრუმს ყუმბარებს დაუშენენ და მერე იერიშით მიადგებიანო."

—

ვენის გაზეთს „Presse"-ში დაბეჭდილია თფილისიდამ 8 დეკემბერს გაგზავნილი შემდეგი დეპეშა:

„არზრუმში მყოფ უცხო ქვეყნის ელჩებს (კონსულებს) შეუთვალა ღენერალ გეიმანმა, რომ იმათ მიატოვონ არზრუმი და სადმე წავიდნენ, რადგან ამ მოკლე ხანში ამ ქალაქს ყუმბარები უნდა დაუშინოვო."

—

სპეციალური კორრესპონდენტი გაზეთის „Daily News"-ის იწერება არზრუმიდამ:

„აქაური ხალხი მხნეთ არის; უკანასკნელ ღონეს ვიხმართ ჩვენი ქალაქის დასაცველათაო, იძახიან. მაგრამ მე უფრო აქაური ოსმალოს ჯარის მხნეობა და გულის-სიმაგრე მაკვირვებს, იმ ჯა-

რისა, რომელთაგან მომეტებული ნაწილი ამ ომის განმავლობაში ორჯერ-სამჯერ იყო დამარცხებული. ამ დამარცხებას სრულიებით არ დაუცია ეს ჯარი ზნეობით და კიდევ მოუთმენელად მოელიან მტერთან შებმას.“

—

მავე კორრესპონდენტი მეორე ალაგას ამბობს თავის კორრესპონდენციაში, რომ ყველაზე უფრო ამ ჟამად ერზრუმს სიცივე აწუხებს, რადგან ქალაქში სრულიათ შეშა აღარ მოიპოება. სამხედრო მთავრობამ ბრძანება გამოსცაო, რომ რაც უვარგისი ხის შენობა არის, დაანგრიონ და შეშათ მოიხმარონო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

რუსის სამხედრო ოფიციალური გაზეთი გვაცნობებს, რომ 22 ნოემბერს მარენთან და მლენასთან ბრძოლის დროს რუსებს შემდეგი ზარალი მისცემიათ: დახოცილი და მტრისაგან ტყვედ წაყვანილია: 19 აფიცერი, 558 სალდათი და 121 აფიცერი; დაჭრილი არიან: 31 აფიცერი, 149 სალდათი და 51 ცხენი. ამას გარდა მტერმა წაგვართვა: 11 ზარბაზანი და 7 ყუთი ტყვია-წამლითა და ყუმბარებით სავსე.

—

ვენიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ დეკემბრის 6-სა სულეიმან-ფაშა უკან დაწეულა თავის ჯარით რუსჩუკის არე-მარედამ და მემკვიდრის კორპუსი იმას კვალში მიჰყვებაო.

—

გაზეთს „Tagdlatt“-ში იწერებიან ბუხარესტიდამ 9 დეკემბერს სტამბოლიდამ:

„ოსმალოს მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ რუმელიაში შეაჩეროს მტერი. სულეიმან-ფაშას გაუგზავნეს ბრძანება, რომ მხოლოთ აუცილებლად საჭირო გარნიზონები დასტოვოს ციხე-ქალაქებში და დანარჩენი ჯარით დაბრუნდეს სოფიისაკენ და იქ გამაგრდეს.“

—

ბელგრადიდამ იწერებიან, რომ სერბიას ამ ჟამად შემდეგი ჯარები ჰყავს: მდ. ტიმოკზე—15,000 კაცი, მდ. დრინზედ—11,500, ივორთან—12,000 და ალექსინაცის ბანაკში—21,000.

—

დღევანდელს გაზეთში დაბეჭდილის ოფიციალურ ტელეგრამმიდამ შეიტყობთ რომ პლევნოს აღების დროს რუსებს დაუტყვევებიათ სულ 44,000 კაცი, დაჭრილებსა და დახოცილების გარდა.

ამ ჯარიდამ 10,000 კაცი რუმინიას გადასცეს; დანარჩენის წასაყვანათ რუსეთში 22,000 კაცი (ერთი დივიზია) არის დანიშნული.

—

სტამბოლელი გაზეთი „La Turquie“ იწერება, რომ ამ დღე[illegible]ნეს 20-მდინ რუსის აფიცრები, რომელნიც ბოლგარიაში დაუტყვევებია ოსმალოს ჯარსაო და ყველა ესენი დროებით სერასკერიატში (სამხედრო სამინისტროს სადგომში) დააბინავესო.

# საქართველო

## დღიური

** ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმერეთისაკენ გამგზავრებულა აქედამ რამდენიმე პრიკასჩიკი უფ. მეიჯარადრის ა. თაიროვისა, რომელთაც განზრახვა აქვთ, რომ სამეგრელოში და გურიაში, სხვათა შორის, სიმინდი იყიდონ. ამბობენ, რომ უფ. მეიჯარადრეს რვა აბაზათ აქვს ფუთი სიმინდი აღებულიო. სულ ექვსასი ათას ფუთამდინ უნდა წარუდგინოს ხაზინას ჯარისთვისაო. დასავლეთ საქართველოში კი ამ ჟამად ფუთი სიმინდი, როგორც გვატყობინებენ, ორ აბაზზე ზევით არ იყიდება....

** მოგეხსენებათ, რომ მომავალი წლიდამ ქალაქის ვაჭრებმა თავიანთი სავაჭრო ბილეთებიდა მოწმობები თფილისის გუბერნიის სახაზინოდამ უნდა აიღონ. მაგრამ ვინც ქალაქის გამგეობიდამ მოწმობას არ წარადგენს, რომ ამ წლის ქა-

# ფელეტონი

## ლეგენდები დაღესტნის მთიულებისა *)

### IV

### გვირგვინი და უნაგირი ნადირ-შაჰისა

120—130 წლის წინეთ საქართველოს დაეცა სპარსეთის შაჰი—ნადირ. დაამარცხა რა ყოველივე მხარე, რომელზედაც კი გაიარა დაღესტნისკენ მიმავლობის დროს, შაჰ-ნადირი მივიდა თურჩიფალის მთაზედ, სადაც დაიჭირა მაგარი პოზიცია.

აქ იმან განიზრახა ჩხუბი მთელი დაღესტნის დასაპყრობლათ. მაგრამ ნაცვლად გამარჯვებისა, შაჰ-ნადირი დარჩა დამარცხებული მთიულებისაგან.

თავის ჯარის უმთავრესი ნაწილის დალუპვის შემდეგ, იმან დაინახა, რომ თავის გადასარჩომად დარჩა მხოლოდ ერთი საშუალება,—გადაკეთდეს დროებით უბრალო მხედრათ და გაქცევით უშველოს თავს. შაჰ-ნადირმა დააგდო გვირგვინი, სამეფო ტანისამოსი, გადაჯდა თავის ცხენიდამ უბრალო კაცის ცხენზე და დაიძახა: „—წყეულ იყვეს ჩემს მთამომავლობაში ის, ვინც როდისმე განიზრახოს მოსვლა ამ საშინელ ალაგებში!“

შაჰის გვირგვინი და უნაგირი ბოლოთ დროებში იმყოფებოდა შამილის ხელში.

თვითონ გვირგვინი იყო რკინისა; გარეთი აფსკა ჩამოსხმული ვერცხლის, მართული ოქროთი. საზოგადო შეხედულობით გვირგვინი ჰგავდა კათოლიკების მიტრას. ფართე ბოლოს გარშემო ჰქონდა ხელის გულზედ ცოტათი ვიწრო ოქროს სალტე (რკალი), რომელზედაც ეწერა ყურანიდამ შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ მოგანიჭეთ შენ გამარჯვება“.
„ღმერთი გაპატიებს შენ ცოდვებს, განვლილს და მომავალს.“
„ის მოჰფენს შენზედ თავის წყალობას“.
„ის დაგადგენს შენ სიმართლის გზაზედ“.
„ის არის შენი შემწე“.

ამ ნაწერზედ შვენოდა ორი დიდი ზურმუხტი, რომლებიდამაც ამოდიოდა თითო ოქროს ფრთა; გვირგვინის შუაზედ იყო მესამე ზურმუხტი იმნაირივე, მაგრამ განზედ ჩარჭმული ფრთით; გვირგვინს ზევით თავზედაც ჰქონდა ფრთა; ეს კი ბრილიანტისა.

უნაგირის კეხი იყო ხისა, რომელსაც, როგორც ბალიშს, სქლათ შემორტყმული ჰქონდა ოქრო და ძვირფასი ქვები.

ამ ნაირად მორთული იყო გვირგვინი და უნაგირი დიდი ხნის წინეთ, სანამ შამილი იმამათ გახდებოდა. მთიულების შეხედულობით ამ ნივთებს არ ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა, ამისათვის ისინი ხშირად გადადიოდნენ ერთი ხელიდამ მეორე ხელში, როგორც საჩუქარი, გასაცვალი, ან გასასყიდი რაიმე. ამასობაში იმათ თან-და-თან აკლდებოდათ მორთულობა.

ბოლოს, როცა შამილი გაიმამდა, ისინი მოაძებნინა და იყიდა. შამილმა ნახა, რომ გვირგვინი და უნაგირი სრულიად გაეფცქვნათ. უმეტესი ნაწილი ძვირფასი ქვებისა შემოეცალად ხანჯლით ან ცულით; შერჩენოდა გვირგვინს ბრილიანტის ფრთა; ეს ფრთა შამილმა მოაშორა და დანარჩენს ინახავდა მოკრძალებით, როგორც ალაფს, დავლას, დაღესტნის სასახელოდ.

შამილის ცოლებისა და ქალების ხელში ამ ალაფმა სრულიად დაჰკარგა თავისი ფასი: ისინი ცოტ-ცოტათი აცლიდნენ ძვირფასს ქვებს თავიანთი ტანთსაცმელების მოსართავად და დასამშვენებლად.

ბოლოს გვირგვინი და უნაგირი შამილის სხვა ქონებასთან გაგზავნილი ვედენიდამ გუნიბში, გაცარცვის დროს ჩაუვარდა ხელში მთიულებს. და ეხლა არვინ იცის, სად იმყოფებიან....

—მე—

*) „დროება“, №№ 189—189.

ლაქის ხარჯი სრულიად გადახდილი აქვს, იმას ამ ბილეთს ხაზინიდამ არ მისცემენ.

ამის გამო ქალაქის გამგეობა აცხადებს ახლა, რომ ვაჭრებმა დაეშურონ ხარჯის შემოტანა და მოწმობის მიღება, თორემ თუ 1 იანვრამდი სავაჭრო მოწმობა და ბილეთი არ აიღეს, იმათი დუქნები, მაღაზიები და სხვ. დაიკეტება და პატრონებს ჯარიმაც გადახდებათო.

*** გუშინწინ ჩვენს ქალაქში ჩამოიყვანეს ოცამდინ დატუსაღებული ლეკი, რომელთაც უკანასკნელ დაღესტნის არეულობაში მონაწილეობა მიიღოთ.

*** „თფილისის მოამბეში“ ფოთიდამ იწერებიან, რომ ამას წინათ რამდენიმე მეგრელი ჩამსხდარან უბრალო ნავებში და სათევზაოთ წასულან. ზღვაში ისინი დაუნახავთ ოსმალოს ხომალდზე მსხდომ ოსმალოს ჯარსა, გამოდევნებიან, სუყველა დაუჭირავთ და ბათუმში წაუყვანიათ. მაგრამ მეორე თუ მესამე დღეს, ეს მეგრელები გამოპარულან ღამე, უნახავთ ზღვის ნაპირზე ოსმალოს ნავი, ჩამსხდარან შიგ და მშვიდობითა და უვნებლად დაბრუნებულან ისევ ფოთში.

*** ამ თვის 13-ს მთავარ-მმართებლის სასახლის წინ ერთი პატარა ბიჭი გაიტანა ფაიტონმა, და ჩვეულებრივად გაიქცა; მაგრამ მეფაიტონე დაიჭირეს და პოლიციაში წაიყვანეს.

ეს პირველი მაგალითია, მგონია, ჩვენს ქალაქში, რომ ამ გვარად ხალხის ჟლეტისათვის მეფაიტონე დაეჭიროთ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქუთაისი**, 9 დეკემბერს. თითქმის ორ კვირაზე მეტი იქნება, რაც ქუთაისში ისეთი ძლიერი ქარია, როგორისაც მეორეთ მნახველი, ვგონებ ჩვენში არავინ არის.

ძლიერ დიდი ზარალი მოუტანა ამ ქარმა ქუთაისის მცხოვრებლებს და სოფლებში რას იქმოდა, თქვენ იფიქრეთ. იშვიათად ნახავთ ისეთ სახლს, რომელსაც სახურავი (რამოდენიმე ნაწილი მაინც) აგლეჯილი არ ჰქონდეს და ფანჯრების მუშები დამტვრეული. ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებსა გწერთ, ხან-და-ხან იმ ნაირათ დაეცემა სახლს, ისეთ ნაირათ დააწყებინებს სახურავს რახარუხს და კედლებს ნძრევას, რომ გამოუცდელი კაცი იფიქრებს თუ ქვეშ მიწა იძვრის და ზევიდგან მეხი ვარდებაო.

ამ უშვერს ბუნების მოვლინებას თან მოჰყვა საშინელი სიცივეც. არ ვიცი, ვის ახსოვს, რომ ოდესმე ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში ჩვენი რიონი ამ ნაირათ გაყინულიყოს; ახლა კი დილის ათ საათზე ანუ კიდევ გვიან რომ მიბრძანდეთ და დახედოთ ამ ცელქ სამოთხის მდინარეს, იფიქრებთ, რომ გარეული თეთრ-თეთრი ბატების გუნდი ჩაცვივნულა წყალში და მიცურავენო; მაგრამ მალე დარწმუნდებით, რომ ჩვენს ფაზისს უეცრად გამოცვლილი ჰაერისაგან გაყინული მხოლოდ თავისივე ნაწილები მიაქვს შავ-ზღვაში შესართავად.

ამ ბუნების მოვლინებაზე ლაპარაკს ახლა თავი დავანებოთ, და ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმათზე, ვისაც უფრო შეაწუხებდა ეს ქარი და ყინვა.

წარმოიდგინეთ პატარ-პატარა სახლუკები, ჩიტის ბუდეებივით კლდეზე მიდგმულები; წარმოიდგინეთ, რომ ამ ჭინჭიანი ბარტყების ციხე-დარბაზებს სახურავები თითქმის ნახევარზე მეტი გადახდილი აქვსთ ქარისაგან, და შებძანდით შიგ—რას ნახავთ. იქ თვითოში ხუთ-ხუთი ანუ ექვს-ექვსი ყმაწვილები ცხოვრებენ. იმათ ტილოს ტანისამოსები აცვიათ და ისიც დაგლეჯილი; ფეხსაცმელებიც გაცვეთიათ და ფეხის თითები უჩანთ. ერთი ნუ ორი მათგანი ცუდყვავილათი (ყელ-ჭირვებით) ავათ არიან და კედელთან წევან, სადაც ქარი თავისუფლათ ბერავს. ამ უკანასკნელებს კიდევაც სცივათ და სნეულებისაგან სიცხეც აქვსთ; სწყურიანთ, მაგრამ რა დალიონ; წყალი ყინვასავით ცივია, და ან კი როგორ დალიონ, ყელი შეკრული აქვსთ სნეულებისაგან. კარგა-მყოფთ შეგირდთთაგან ერთს ფიჩხი—შეშა მოუტანია, ცეცხლი დაუნთია, ზედ მჭადის გამოსაცხობელათ კეცები გაუდგამს და ერთ გვერდზე პატარა ქოთნით ლობიოც მოსახარშავათ მიუდგამს; მეორე მჭადის ცომს ამზადებს; მესამე წყალს უსხამს, და ყველანი კი ერთად სიცივით კბილებს არაკუნებენ.

ამ ნაირი გაჭირვებით გაკეთებულს სადილს ანუ ვახშამს ეს შეგირდები ლეკებივით შეთანთქამენ და შემდეგ დილის სიცივით ათახთახებულნი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მითინთილობენ. ხან-და-ხან ერთი ამათგანი კი ავათმყოფებთან რჩება.

გავყვეთ, უ. რედაქტორო, ამ ყმაწვილებს და ვნახოთ ჩვენც იმათთან სასწავლებელი. სასწავლებლის ეზოში პირველად ჩვენ ვნახავთ ოც-და-ათ საჟენ შეშას, რომელიც სასწავლებლისათვის, ანუ უკეთ ვსთქვათ, ზედამხედველისა და იმის თანაშემწისათვის არის ნაყიდი. ჩვენ ვნახავთ აგრეთვე სასწავლებლის გარშემო დარგულს სხვა-და-სხვა გვარის ნორჩ ხეებს და ეზოსაც კარგა ძალზე გავაკებულს. დავინახავთ კიდევ სასწავლებლის შესავალ კარებს მშვენივრად გალაქულს.

ყველა ამაების შემდეგ ჩვენ სიხარულით შევდივართ სასწავლებელში იმ ფიქრით, რომ იქაც თვალები გაგვინათლდება სანახავებით. მაგრამ რას ვხედავთ? 1864-ს წლის აქეთ კლასების კარები არ გაწმენდილა; კარიდორი დაუგვიათ და ნაგავი იქვე კედელთან მოუგროებიათ. კლასებში შევდივართ და იქაც, სამწუხაროდ, ნაგავსა და მტვერს ვხედავთ. აქ ჩვენ ხელს ანუ ცხვირ-სახოცს ვიფარებთ ცხვირ-პირზე და დალონებული ვფიქრობთ: ნუ თუ აქ ვინმე ადამის ტომთაგანი ცხოვრებენ და არა ოთხფეხნი რაიმე ბუნაგობენ?! შემდეგ ჩვენ ვრწმუნდებით ნამდვილად, რომ მარტო ახლა, ამ სიცივეში კი არა, წარსულ ოქტომბერშიაც თურმე მთელი ერთი კვირა (არ ვიტყვი მეტს, არამედ ნაკლებს) სულ დაუგველი ყოფილა კლასები. ერთ დღეს თვითონ ეკონომი ჰგვიდა კარიდორს და როდესაც ჰკითხეს, რატომ მოჯამაგირეები არ ჰგვიანო,—იმან მიუგო, რომ მოჯამაგირეებს მიწას ათხრევინებენ, ეზოს ასწორებინებენ, და არ სცალიანთო.

სჩანს, უფ. რედაქტორო, რომ ჩვენი სასწავლებლის ზედამხედველს და იმის თანაშემწეს მარტო გარეგანი შვენება ჰქონიათ და შინაგანი კი ღმერთმა დაიფაროს.

გადავავლოთ აბა ახლა თვალი შეგირდებს. საწყლებს ხელები დალურჯებიათ სიცივით და სულს იბერავენ ზედ იქნება გაგვითბესო. ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, რაღა სწავლის დარდი აქვსთ ამ უბედურებს მაშინ, როდესაც კბილები ეკვრით სიცივით და ჯერ თურმე არც ერთ კლასში არ აუმთიათ ცეცხლი, რომ ამ შიშველ-ტიტველაებს იმის შორიდგან ცქერით მაინც ესიამოვნებიათ ისე, როგორც ერთი იმერელი ანუ, ვგონებ, ქიზიყელი ხიზილალის ცქერით ძღებოდა თურმე. ამ სასწავლებლის ზედამხედველი და იმის თანაშემწე რომ არ ათბობდნენ თავიანთ ოთახებს, მაშინ იტყვის ადამიანი, რომ ეს კაცები თავიანთ თავისაც მტრები ყოფილან და შეგირდების რაღა დარდი ექნებათო; მაგრამ ხომ გაგიგონიათ, იმერეთში რომ ამბობენ, „მაძღარ მღვდელს დიაკვანიც მაძღარი ეგონაო.“

ახლა ერთი პანსიონერებსაც გადავხედოთ. ისინიც სიცივით თახ-თახობენ; არც იმათ უნთიათ ცეცხლი; იმათაც პირისა და ხელების ტყავი დამსკდარი აქვსთ, რადგან ამ უშველეპელ სიცივეში

გამოდიან დილ-დილით გარეთ და იბანებენ ხელ-პირს. ამისათვის იმათგანიც ბევრნი არიან ავათ. რითაო? თუ მკითხავთ,—ამას კი არ მოგახსენებთ, რადგანაც მე არ გახლავართ ექიმი, არამედ

მღვდელი.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიილებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათიდან.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** პერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** პერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

**შ ა ბ ა თ ს:** პერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მ ი ღ ე ბ ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ი ქ ა ლ ე ბ ი ს ა და უ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი ს.

ქ ა ლ ი ს ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ო ნ ა ნ ო ვ ი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რ ე მ ე რ ტ ი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ—დოქტორი ა ლ ბ ა ნ უ ს ი.

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო ბ ი ს თ ვ ი ს:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დაკვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შ მ ა კ ო ვ ი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება. რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

## ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება | 1 მან. 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ.— | 2 „ — „ | 1 მან. 50 „ |
| —დამოჟნამდინ— | 1 „ 50 „ | 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან | 1 „ — „ | — „ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ.— | „ 80 „ | — „ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ | 1 „ 50 „ | 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და უკან — — | —1 „ 30 „ | — „ 90 „ |

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.


# განცხადებანი

ქუთაისში—ბალახვანში ისყიდება

**სამოსახლო ადგილები** ერთად და ცალკ-ცალკე.

უფრო დაწვრილებით შეტყობა შეიძლება ქუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში ელისაბედ ს. მარჯანოვთან (არსენალის ქუჩაზე, № 56), ზამაზოვის სახლები.

(5—2)

**გაკვეთილები**

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენზედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს **ქუთაისში**, უფ. ზაქარია ქანდელაკის სადგომში.

ჩაის მაღაზია

**პ. ვ. პოპოვისა,**

რომელიიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

**რაჟდენ ბედინიძე**

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

**„ცოლი ვიტირო თუ ფული?“**

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

უფ. ალ. ა. თუთაევისა


| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 14 დეკემბ. | | |
| ერთი ქაღალდი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 251 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5%. | 96 | 50 |
| მოგებიანი (პირველი სესხ.) | 230 | 25 |
| მოგებიან. (მეორე სესხი) | 225 | 50 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 85 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური . . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 15 ქრისტეშ: | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 2 | 20 |
| ფქვილი წითელი . . | 2 | — |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 50 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 9 | — |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 12 | — |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 14 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური ფუთ | 145 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 14 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 9 | 25 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 80 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 20 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря 1877 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი